საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 6 20 0000596748

13/07/2020

„სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ლოგისტიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 6 მარტის N21 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2020 წლის 25 მარტის MES 9 20 00317403 წერილის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ,,სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ლოგისტიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 6 მარტის N21 გადაწყვეტილებაში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები:
1.1 გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2019 წლის 13 დეკემბერს.“

1.2 გადაწყვეტილების დანართი №1-ის მე-17 პუნქტში ნაცვლად 2020 წლის 12 მარტისა მიეთითოს 2019 წლის 13 დეკემბერი.

1.3 გადაწყვეტილების დანართი №1-ის მე-19 პუნქტში ნაცვლად 2027 წლის 12 მარტისა მიეთითოს 2026 წლის 13 დეკემბერი.

2. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 13 ივლისის MES 8 20 0000592096 სხდომის ოქმის N04 ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის ქ. No2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, No6, აღნიშნული გადაწყვეტილების ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის მდივანი
თიკანაშვილი ნიკა



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 21

2020 წ. "06" 03

ქ.თბილისი

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ლოგისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 04 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 3^1 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.".

თავმჯდომარე

მდივანი

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27[5]-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. 2019 წლის 01 აგვისტოს სსიპ - საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგინა №1006342 (ცენტრში რეგისტრაციის №1009426, 1009469, 1009543, 1009607, 1009698, 1009785, 1009846, 1009908, 1009931, 1010244, 1010264) სააკრედიტაციო განაცხადი „ლოგისტიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2.2. ცენტრის დირექტორის 2019 წლის 03 სექტემბრის №778 ბრძანების საფუძველზე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2019 წლის 05 ნოემბრის №1060 ბრძანებით (ცვლილება - 2019 წლის 07 ნოემბრის №1071 ბრძანება) შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2019 წლის 19 ნოემბერს განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, ხოლო 2019 წლის 27 დეკემბერს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თავმჯდომარე

მდივანი

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2020 წლის 06 მარტს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

2.5. საბჭომ საქმის მასალების შესწავლისა და ზეპირი მოსმენის საფუძველზე მიიჩნია, რომ 2.3. კომპონენტი - სასწავლო კურსი, ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" უნდა შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან".

2.6. საბჭომ მიიჩნია, რომ სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს უნდა მიეცეს შემდეგი რეკომენდაციები:

ა) არ არის მიზანშეწონილი საგნის ,,სამართლებრივი საკითხები ლოგისტებისთვის" ამ შინაარსით ისწავლებოდეს. აქცენტი უნდა გაკეთდეს ისეთ საკითხებზე, რომელსაც უშუალოდ პრაქტიკაში გამოიყენებენ სფეროში დასაქმებული სპეციალისტები. მაგ: ფორსმაჟორი, კონტრაქტი, ინკოტერმსი, არბიტრაჟი, გადახდის ფორმები და ა.შ. გადამუშავდეს „სამართლებრივი საკითხები ლოგისტებისთვის" სილაბუსი და მისი შინაარსი შესაბამისობაში მოვიდეს სილაბუსის სახელწოდებასთან";

ბ) საგანი ,,ბიზნესის საფუძვლები" სტუდენტს უნდა უქმნიდეს სისტემურ (კომპლექსურ) წარმოდგენას ბიზნესზე. წარმოდგენილი საგნის სილაბუსში არ გხვდება ბიზნესისთვის მნიშვნელოვანი საკითხები. მაგ: მარკეტინგი, პროდუქტი, ოპერაციები და ა.შ. მიზანშეწონილია, საგნის შინაარსის და სტრუქტურის გადახედვა;

გ) საგანი ,,ეკონომიკური გეოგრაფია" სტრუქტურით მისაღებია, მაგრამ მიზანშეწონილია, ისეთი მაგალითებით და საკითხებით გამიმდიდრება, რომელიც უშუალოდ კავშირშია ლოგისტიკასტან;

დ) მიზანშეწონილია, უზრუნველყოფილ იქნეს სტუდენტებისთვის ინგლისურის სწავლის შეთავაზების შესაძლებლობა;

ე) მართალია კურუკულუმის სხვადასხვა საგნებში საკითხები არის სხვადასხვა მოცულობით წარმოდგენილი, თუმცა, მაინც მიზანშეწონილია ისეთი სასწავლო კურსების დამატება, რიგორიცაა: მენეჯერული აღრიცხვა, ოპერაციათა კვლევა, ოპერაციათა მენეჯმენტი. ბიუჯეტირების საკითხების შესწავლის გაძლიერება;

ვ) საგნების დატვირთვა განისაზღვროს მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე და არა ერთნაირი მოცულობით, რაც ხშირ შემთხვევაში მექანიკურს ჰგავს.

ზ) „საავიაციო ტექნიკა და საავიაციო სატვირთო გადაზიდვების" სილაბუსით გათვალისწინებული ძირითადი ლიტერატურის არც უცხოენოვანი და არც ქართული ნაწილი არ მოიცავს სილაბუსში გაწერილ საკითხებს, ასევე, სილაბუსის შემდგენის პირადი საქმის შესწავლისას არ დასტურდება მისი ავიაციასთან დაკავშირებული კვალიფიკაცია, რაც სასწავლო კურსის განხორციელებას მისი შინაარსიდან გამომდინარე, ეჭვ ქვეშ აყენებს. რეკომენდირებულია მოხდეს სასწავლო კურსის შესაბამისი ლიტერატურით და

თავმჯდომარე

მდივანი

კვალიფიციური განმახორციელებელი პერსონალით უზრუნველყოფა, ან მოხდეს აღნიშნული სასწავლო კურსის ჩანაცვლება სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

3. სარეზოლუციო ნაწილი

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და მე-3 და მე-5 პუნქტების, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად ერთხმად

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2019 წლის 01 აგვისტოს №1006342 (ცენტრში რეგისტრაციის №1009426, 1009469, 1009543, 1009607, 1009698, 1009785, 1009846, 1009908, 1009931, 1010244, 1010264) სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ლოგისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).

3. ცნობილ იქნას საბჭოს 2020 წლის 06 მარტის №05 სხდომის ოქმის №04 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).

4. მიეცეს შემდეგი რეკომენდაციები:

ა) არ არის მიზანშეწონილი საგნის ,,სამართლებრივი საკითხები ლოგისტებისთვის" ამ შინაარსით ისწავლებოდეს. აქცენტი უნდა გაკეთდეს ისეთ საკითხებზე, რომელსაც უშუალოდ პრაქტიკაში გამოიყენებენ სფეროში დასაქმებული სპეციალისტები. მაგ: ფორსმაჟორი, კონტრაქტი, ინკოტერმსი, არბიტრაჟი, გადახდის ფორმები და ა.შ. გადამუშავდეს „სამართლებრივი საკითხები ლოგისტებისთვის" სილაბუსი და მისი შინაარსი შესაბამისობაში მოვიდეს სილაბუსის სახელწოდებასთან";

ბ) საგანი ,,ბიზნესის საფუძვლები" სტუდენტს უნდა უქმნიდეს სისტემურ (კომპლექსურ) წარმოდგენას ბიზნესზე. წარმოდგენილი საგნის სილაბუსში არ გხვდება ბიზნესისთვის მნიშვნელოვანი საკითხები. მაგ: მარკეტინგი, პროდუქტი, ოპერაციები და ა.შ. მიზანშეწონილია, საგნის შინაარსის და სტრუქტურის გადახედვა;

გ) საგანი ,,ეკონომიკური გეოგრაფია" სტრუქტურით მისაღებია, მაგრამ მიზანშეწონილია, ისეთი მაგალითებით და საკითხებით გამიმდიდრება, რომელიც უშუალოდ კავშირშია ლოგისტიკასტან;

დ) მიზანშეწონილია, უზრუნველყოფილ იქნეს სტუდენტებისთვის ინგლისურის სწავლის შეთავაზების შესაძლებლობა;

ე) მართალია კურუკულუმის სხვადასხვა საგნებში საკითხები არის სხვადასხვა მოცულობით წარმოდგენილი, თუმცა, მაინც მიზანშეწონილია ისეთი სასწავლო კურსების დამატება, რიგორიცაა: მენეჯერული აღრიცხვა, ოპერაციათა კვლევა, ოპერაციათა მენეჯმენტი. ბიუჯეტირების საკითხების შესწავლის გაძლიერება;

თავმჯდომარე

მდივანი

ვ) საგნების დატვირთვა განისაზღვროს მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე და არა ერთნაირი მოცულობით, რაც ხშირ შემთხვევაში მექანიკურს ჰგავს.

ზ) „საავიაციო ტექნიკა და საავიაციო სატვირთო გადაზიდვების“ სილაბუსით გათვალისწინებული ძირითადი ლიტერატურის არც უცხოენოვანი და არც ქართული ნაწილი არ მოიცავს სილაბუსში გაწერილ საკითხებს, ასევე, სილაბუსის შემდგენის პირადი საქმის შესწავლისას არ დასტურდება მისი ავიაციასთან დაკავშირებული კვალიფიკაცია, რაც სასწავლო კურსის განხორციელებას მისი შინაარსიდან გამომდინარე, ეჭვ ქვეშ აყენებს. რეკომენდირებულია მოხდეს სასწავლო კურსის შესაბამისი ლიტერატურით და კვალიფიციური განმახორციელებელი პერსონალით უზრუნველყოფა, ან მოხდეს აღნიშნული სასწავლო კურსის ჩანაცვლება სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მისი ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღეს - 2020 წლის 12 მარტი.

6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24[1] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ბურდული

საბჭოს მდივანი ნიკოლოზ კიკნაძე

Kikнadze

თავმჯდომარე

მდივანი

Kikнadze

დანართი №1

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	ლოგისტიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი[2]	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2014 წლის 13 დეკემბერი, №282
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[3]	ლოჯისტიკა
6	უმაღლესი განათლების საფეხური[4]	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე[5]	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	საინჟინრო ლოგისტიკის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[6]	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0719 ინჟინერია და საინჟინრო საქმე - არაკლასიფიცირებული
12	კვალიფიკაციის კოდი[7]	0719
13	სწავლების ენა	ქართული და გერმანული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
15	განხორციელების ადგილი[8]	საქართველო 0175, ქ. თბილისი მ. კოსტავას ქ. №68, სასწავლო კორპუსი NI
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-
17	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2020 წლის 12 მარტი
18	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის	-

[1] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[2] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
[3] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[4] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[5] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[6] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[7] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი
[8] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

თავმჯდომარე

მდივანი

	წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[9]	
19	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2027 წლის 12 მარტი

[9] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

თავმჯდომარე

მდივანი